ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2322356

ნომერი: AR1360324

თარიღი : 30.11.2015

გაცემის თარიღი : 03.12.2015

გაცნობის თარიღი : 04.12.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეტეხის , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ შავლიაშვილი პ/ნ 01004003638
- თბილისი გ.ჭყონდიდელის ქ. N 10 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  კორექტირება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მეტეხის ქ. N20–ში მდებარე შენობის ფასადზე საჩრდილობლის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ განაცხადის რეგისტრაციისას თქვენს მიერ არასწორად მოხდა ნომენკლატურის შერჩევა, კორექტირების ნაცვლად მითითებული უნდა იქნეს რეკონსტრუქცია.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. საპროექტო ფოტომონტაჟზე არ არის მითითებული საჩრდილობლის ნიშნულები;
2. არ არის წარმოდგენილი შესაბამისი წესით დამოწმებული მესაკუთრის თანხმობა და მინდობილობა განმცხადებლის სახელზე, ან შესძლებელია მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება განაცხადის შესაბამის ნომენკლატურაში დარეგისტრირებისა და მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.